თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 4

ქ.თერჯოლა 1აპრილი 2025 წელი

ან. ჭანტურიძის ქ. №7

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1.გიორგი ბარათაშვილი, 2.დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. ნინო ჩხიკვაძე, 5. ბადრი ბუცხრიკიძე, 6. გრიგოლ გიორგაძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8.ტარიელ ფანჩულიძე. 9. გოჩა ვერულაშვილი, 10. თემურ ქოჩიაშვილი, 11. შალვა ჭანკვეტაძე.

სხდომას არ ეწრებოდნენ: 1. კახა ბუცხრიკიძე.
საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 11
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცებ ის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282505569 წერილი, 24.02.2024 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკ იცების შესახებ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825090119 წერილი, 31.03.2025 წ);

/მომხს: შ.ჭანკვეტაძე/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ(ქ. თერჯოლაში მდებარე ქონება ს.კ. 33.09.33.450; 90 კვ.მ. არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით გადაცემის შესახებ)(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282508789 წერილი, 28.03.2025 წ);

/მომხს. ბ.ბუცხრიკიძე/

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. N109 -ში მდებარე მერიის შენობის (ს.კ. 33.09.45.949) პირველ სართულზე არსებული ორი ოთახის (საერთო ფართი 32.99 მ^2) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,

უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადასცეს სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატას (ს/კ.203840656). (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282509040 წერილი, 31.03.2025 წ);

/მომხს. ბ.ბუცხრიკიძე/

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს" გადასცეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შემდეგი ქონება: ა) ს/კ 33.15.33.084 - სოფელი ჩხარი - 1199 მ² არასაცხოვრებელი ფართი; ბ) ს/კ 33.10.37.199.01.501 - სოფელი ღვანკითი - 37 მ² არასაცხოვრებელი ფართი(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282509041 წერილი, 31.03.2025 წ);

/მომხს. ბ.ბუცხრიკიძე/

6. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა N117-ში მდებარე (ს/კ N33.09.45.985) შენობის პირველ სართულზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 67.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, 1 (ერთი) წლის ვადით გადასცეს შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"-ს)(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282509042 წერილი, 31.03.2025 წ);

/მომხს. ბ.ბუცხრიკიძე/

7. „წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825090117 წერილი, 31.03.2025 წ);

/მომხს.გიორგაძე/

8. ა(ა)იპ ,,თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის 2023 წლის 01 სექტემბრიდან 2025 წლის 01 თებერვლამდე გაწეული მუშობის ანგარიშის შესახებ(თერჯოლის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დირექტორის წერილი №14-2825069125, 10.03.2025 წ.).

/მომხს. ი.ჩხეიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ - „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2023 წლის 13 დეკემბრის N30 დადგენილებით - 19150.0 ათასი ლარის ოდენობით.

2024 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 2863.7 ათას ლარს. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები 2336.5 ათას ლარს და ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების (კაპიტალური ტრანსფერის) სახით მიღებული შემოსავალი 527.2 ათას ლარს.

2024 წლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილება 15-ჯერ განხორციელდა (მერის ბრძანებით 6-ჯერ და საკრებულოს მიერ 9-ჯერ). ბიუჯეტის მთლიანი საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 35980.0 ათასი ლარით.

2024 წლის ბიუჯეტის წლიური ფაქტიური შემოსულობები 35846.2 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური გადასახდელები 35619.2 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის პირველი იანვრისათვის ნაშთი დარჩა 228.0 ათასი ლარი. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები -119.0 ათასი ლარი, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავლები - 109.0 ათასი ლარი.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ
კენჭისყრის შედეგები: მომხრე-11, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

2.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - №5 დადგენილებაში ასახული ცვლილებები ტექნიკური ხასიათისაა კერძოდ: დადგენილების დანართის მე-11 მუხლში კონკრეტდება დადგენილებით გათვალისწინებულ მომსახურეობის მონიტორინგზე პასუხისმგებელი სამსახური და შესაბამისი სამსახურის ნაცვლად მითითებულია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური. ხოლო №2 დანართში იცვლება ოფიციალური ვებგვერდის მისამართი.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ
კენჭისყრის შედეგები: მომხრე-11, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს:შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ(ქ. თერჯოლაში მდებარე ქონება ს.კ. 33.09.33.450; **90 კვ.მ.** არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით გადასცემის შესახებ) გაანკარგულების პროექტი -თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საიჯარო ობიექტები გასხვისდეს პირდაპირი განკარგვის ფორმით, 2 წლის ვადით, შემდეგი პირობით: ნაკვეთზე შესაძლებელია განთავსდეს მარტივი ტიპის ნაგებობები, რომელიც ზიანს არ მიაყენებს გარემო იერსახეს. ასევე, ნაკვეთზე განსახორციელებლი სამუშაოები შეთანხმდეს მერიის შესაბამის სამსახურთან.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ
კენჭისყრის შედეგები: მომხრე-11, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ(ქ. თერჯოლაში მდებარე ქონება ს.კ. 33.09.33.450; **90 კვ.მ.** არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით გადაცემის შესახებ).

4.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი - ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქ. №109 -ში მდებარე მერიის შენობის (ს.კ. 33.09.45.949) პირველ სართულზე არსებული ორი ოთახი (საერთო ფართი 32.99 მ^2) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადაეცემა სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატას (ს/კ.203840656).

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ
კენჭისყრის შედეგები: მომხრე-11, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109 - ში მდებარე მერიის შენობის (ს.კ. 33.09.45.949) პირველ სართულზე არსებული ორი ოთახის (საერთო ფართი 32.99 მ²) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადასცეს სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატას (ს/კ.203840656).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს" გადაეცემა მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შემდეგი ქონება: ა) ს/კ 33.15.33.084 - სოფელი ჩხარი - 1199 მ² არასაცხოვრებელი ფართი; ბ) ს/კ 33.10.37.199.01.501 - სოფელი ღვანკითი - 37 მ² არასაცხოვრებელი ფართი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას და ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს" შორის გაფორმდა უზუფრუქტის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს" ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით გადმოეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართები, სადაც ფუნქციონირებს სოფლის ამბულატორიები. აღნიშნული უზუფრუქტის ხელშეკრულებას 2024 წლის ბოლოს გადის მოქმედების ვადა, შესაბამისად საჭიროა ხელშეკრულების განახლება.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ
კენჭისყრის შედეგები: მომხრე-11, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს" გადასცეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შემდეგი ქონება: ა) ს/კ 33.15.33.084 - სოფელი ჩხარი - 1199 მ² არასაცხოვრებელი ფართი; ბ) ს/კ 33.10.37.199.01.501 - სოფელი ღვანკითი - 37 მ² არასაცხოვრებელი ფართი.

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი - ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა N117-ში მდებარე (ს/კ N33.09.45.985) შენობის პირველ სართულზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 67.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, 1 (ერთი) წლის ვადით გადაეცემა შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"-ს.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ
კენჭისყრის შედეგები: მომხრე-11, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა N117-ში მდებარე (ს/კ N33.09.45.985) შენობის პირველ სართულზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 67.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, 1 (ერთი) წლის ვადით გადასცეს შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"-ს).

7.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გრიგოლ გიორგაძემ ბიუროს წევრებს გააცნო „წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - როგორც მოგეხსენებათ „წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროს და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესი"-ს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილების დანართის მე-2 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად წარმატებული სპორტსმენია - საქართველოს, ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონატისა და ოლიმპიურ თამაშებში თერჯოლის ან საქართველოს სახელით მოასპარეზე 14-დან 30 წლამდე.

გამომდინარე იქედან, რომ მუციპალიტეტის გარდა 14-დან 30წლამდე სპორტსმენებისა ჰყავს 35 წლამდე წარმატებული სპორტსმენებიც, შესაბამისად მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევიდეს ცვლილება თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილების დანართის მე-2 მუხლის „ბ" ქვეპუნქტში და უფროსი ასაკი განისაზღვროს 35 წელი.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-11, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი „წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

8.

მოისმინეს: მომხსენებელმა, ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დირექტორმა ირაკლი ჩხეიძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ა(ა)იპ ,,თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის 2023 წლის 01 სექტემბრიდან 2025 წლის 01 თებერვლამდე გაწეული მუშობის ანგარიში.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ
კენჭისყრის შედეგები: მომხრე-11, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ა(ა)იპ ,,თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის 2023 წლის 01 სექტემბრიდან 2025 წლის 01 თებერვლამდე გაწეული მუშობის ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 1აპრილის საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი